აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 22

03/10/2016 წელი ქ. ბათუმი

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის
დამკვირვებელთა რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 47 მუხლის მე-2, მე-7 და მე-9 პუნქტისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის - **„ახალგაზრდული ინიციატივა მომავალი საქართველოსთვის**“ დამკვირვებლებს, თანდართული სიის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი